



# შირაკი

## SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (10.123)  
1-8 ივნისი, 2024 წელი  
ფასი: 60 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა

### მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღინიშნა დედოფლისწყაროში. 26 მაისს ღონისძიება პირველად დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა.

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **მანანა მაჭარაშვილმა**: „საქართველოს ისტორია არის ისტორია ცხრათავიან დევებთან ჭიდილისა. თვალს მიადევნებ და ფიქრობ, როგორ მოვედით აქამდე. დიდ ილიას ჩვენი ყოფის ქართველობიდან, ყველაზე მეტად ის აკვირვებდა, რა ეკონომიკა უძლებდა ამ ყველაფერს. ვფიქრობ, ჩვენი გადარჩენის საიდუმლო ღვთის განსაკუთრებულ სიყვარულსა და ერთგულებაში უნდა ვეძებოთ.“

ჩვენი ხალხი საუკუნეების მანძილზე აშენებდა ეკლესია-მონასტრებს და შენდებოდა: ვარძია, ნიკორწმინდა, გელათი, სამება...

მუხლჩაუხრელად იღწვოდნენ და ინერებოდა საქართველოს ისტორია. ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ისტორიკოსი მოვალეა, ხალხს მიაწოდოს უტყუარი, რეალური სურათი მომხდარის შესახებ და არა შელამაზებული ცნობები“. ის განსაკუთრებული მონივნებით ახსენებს მეფე ფარნავაზს, რადგან მასთან ასოცირდება პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნა.

საქართველოზე ბევრი რამ დაწერილა-კარგიც და ცუდიც. ბევრ უცხოტომელს ისე შეჰყვარებია ჩვენი ქვეყანა

ლოვნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე და მრავალი სხვა.

1989 წლის 9 აპრილის გმირები და ეს თარიღიც მუდამ დარჩება საქართველოს ისტორიაში, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისის სიმბოლო. გმირებს ერი ზადებს. ამ ერთ მუჭა ერში ამდენი ნიჭიერი და თავდადებული ადამიანი იშვა. დაუწინაყარი ისტორია გვაქვს-ბრძოლის და თავგანწირვის. სულ გვეამაყოს ჩვენი ქვეყნით და ხალხით“-აღნიშნა მან.

შემეცნებით კონფერენციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად დაესწრო და საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

„დღეს დიდი ზეიმია, რადგან ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის 33-ე წელს ვზეიმობთ. ისე საქართველოს სახელმწიფოებრიობა სამი ათას წელზე მეტს ითვლის. ყველაზე ძირძველი სახელმწი-



ქვეყანა ურთულეს პერიოდს გადის. გარშემო მტერიც ბევრი გვყავს და, ღვთის წყალობით, მოყვარეც, მაგრამ უამრის ძალიან რთული, თუმცა, არჩევანის გაკეთება არის იოლი – აქ გამოკრულია დიდი ილიას სიტყვები: „მამული, ენა, სარწმუნოება“ და სწორედ ამ სამი მთავარი ღირებულების გარშემო უნდა გვერთიანდეთ დღესაც, რადგან ამ სამმა ღირებულებამ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა წარსულშიც. იმედი მაქვს, რომ ისტორიის სწორ მხარეს დგომა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას და კიდევ ბევრჯერ ვიზეიმებთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო თანამეგობრობაში“.

ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე საზოგადოების წინაშე პირველად წარდგა დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლასთან არსებული ხალხური სიმღერის გუნდი, რომელსაც სახელი არ ჰქონდა. უსახელო ჯგუფს სახელი მუნიციპალიტეტის მერმა შეურჩია. 26 მაისიდან სიმღერის გუნდს „მამული“ (ლოტბარი **ზაჩანა ალუღიშვილი**) ეწოდა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ნორჩი დეკლამატორები, რომელთაც პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსები წაიკითხეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სპორტული აქტივობებით გაგრძელდა. დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრის დარბაზში მკლავჭიდაში მუნიციპალიტეტის პირველობა გაიმართა. ასპარეზობა

სხვადასხვა წონით კატეგორიაში ჩატარდა. გამარჯვებულები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მედლებით დააჯილდოვეს.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი სადღესასწაულო კონცერტით დასრულდა, რომელიც ადგილობრივი ჯგუფების მონაწილეობით დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართა. კონცერტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა.

\*\*\*

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. ზუსტად 106 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარეს დემოკრატიული რესპუბლიკა; შეიქმნა ევროპული ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიული სისტემა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა.

საქართველოს დამოუკიდებლობას იმთავითვე მტრულად შეხვდა ბოლშევიკური რეჟიმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ყოფილი იმპერიის აღდგენა. 1921 წელს საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა და ქვეყნის ანექსია მოახდინა. საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების უმრავლესობა ემიგრაციაში წავიდა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად, მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. 1991 წლის 9 აპრილს ძალაში შევიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ინგა შიოლაშვილი



და ხალხი, რომ საკუთარ სამშობლოდ უცენია და საშუალოდ აქ დარჩენილა. ბევრი წასულა, მაგრამ დაბრუნებულა, რადგან ანდამატივით იზიდავდა ეს მხარე. ბევრიც შურითა და ბოლმით აღვსილა და აქაურ მკვიდრთა ხელგაშლილობის, სიმამაცის, სილაღის, ნიჭიერების შემხედვარე და მტრად გადაჰქიდავია ხალხსაც და ქვეყანასაც. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მტერი არ აკლდა, მაგრამ მოყვარეც ჰყავდა.

1918 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვალში დამთავრდა. 1991 წელს კვლავ აღდგა და 33 წელია, ვზეიმობთ ამ საპატიო და საამაყო თარიღს, მაგრამ, სანამ აქამდე მოვიდოდით, ვინ არ ემტერებოდა ოქროს ბეჭედში ჩასმულ ბადახშ-ბერძენები, მონღოლები, სარკინოზები... ჩვენს მამა-პაპას სულ ეჭირა ხმალი სამშობლოს დასაცავად, არც ერი ისვენებდა და არც ბერი. ამან წარმოშვა ქართველი საამაყო გმირები - ბერი თევდორე, თამარ ვამ-

ფოების ათეულში შედის საქართველო, ჩვენი დროა კი-ყველაზე ძველი დროების სამეულში იკავებს საპატიო ადგილს. დიდი ისტორიის მქონე ერსა და ქვეყანას ბევრი რამ გვაქვს საამაყო. დღეს ჩვენი



# მორჩა, ე.წ. რუსული კანონის ებობეამ ჩაიღურის წყალი დალია — კანონი ქართულია“

„რომელ კანონს? ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ რუსული კანონი თქვამთ კიდევ? ამ ამბავმა ხომ ჩაიარა? მორჩა, ე.წ. რუსული კანონის ებობეამ „ჩაიღურის წყალი“ დალია, - ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტის კითხვას, უჭერს თუ არა მხარს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი ლარიბაშვილი „რუსულ კანონს“.

პაპუაშვილის განმარტებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ქართულია.

„ბოლო აქცია დაიშალა, ყველა მიხვდა რასთან გვაქვს საქმე, ამაზე ახლა ოპოზიცია და „ენჯელები“ გაბრაზებულები დარბიან, კედლებზე რალაცებს აწერენ, უბრალოდ ისტერიაში არიან ჩავარდნილი. მორჩა, ე.წ. რუსული კანონის ებობეამ ჩაიღურის წყალი დალია. ეს ქართული კანონია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო და რომლის მიზანიცაა, ყველა ვინც რუსეთის, ან სხვა ქვეყნის დაფინანსებით მოქმედებს საქართველოში, მათი ფინანსები ცნობილი იყოს, ეს არის ყველაზე ქართული კანონი, რომელიც კი ქართულ პარლამენტს მიუღია.

რაც შეეხება პოლიტსაბჭოს, დიან, გვერდია, პოლიტსაბჭოს სხდომა, იცით, რომ მალე წინასწარჩევნო კამპანიის პროცესში შევალოთ. დაგეგმიით ხასიათის შეხვედრა გვერდია, სადაც ვისაუბრებთ როდის, რა დავინწყით, მათ შორის, რა თქმა უნდა, პოლიტსაბჭოს სხდომას პარტიის თავმჯდომარე, ირაკლი ლარიბაშვილიც ესწრებოდა.

რაც შეეხებოდა „გამჭვირვალობის ქართულ კანონს“, მას სრულად მხარს უჭერს არამხოლოდ ირაკლი ლარიბაშვილი, არამედ „ქართული ოცნების“ ყველა წევრი და სრულიად საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა“, - აცხადებს პაპუაშვილი.

კითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა იმ ფაქტს, რომ მსგავს კანონზე საფრანგეთიც მუშაობს, რომელიც უფრო მკაცრია, ან რა განსხვავებაა ქართულსა და ფრანგულ კანონნორექტს შორის, პაპუაშვილი პასუხობს, რომ „განმასხვავებელი ისაა, რომ საფრანგეთი დიდია და ატომური ბომბი აქვს, ჩვენ პატარა ვართ და ატომური ბომბი არ გვაქვს“.

„ამიტომ, საფრანგეთს შეიძლება ჰქონდეს ასეთი კანონები და ჩვენ, ზოგიერთს ჰქონია, რომ არ შეიძლება ასეთი კანონი გვექონდეს. ჩვენ ზოგიერთი ზემოდად გვიყურებს, შეუძღვარი სახელმწიფო ვგონივართ. ჰგონიათ, რომ აქ თითქმის 4 მლნ ადამიანი ტერიტორიაზე უბრალოდ მოძრაობს, დილით გაიღვიძებს, სამსახურში წავა, დაბრუნდება და ფიქრობს, რომ ჩვენ არ შეიძლება ჩვენი უსაფრთხოების ინტერესები, განსხვავებული აზრი გვექონდეს, თუ როგორ გვინდა ჩვენი ქვეყანა განვითარდეს. საქმარისია, რომ 9 რეკომენდაცია გვექონდეს, სახელმწიფომ გაიღვიძოს და დაიძინოს 9 რეკომენდაციაზე მუშაობით, სხვა დანარჩენი, წვრილმანი თემები, რაც ჩვენი ეროვნული ინტერესებია, ზოგიერთ ქვეყანას არ აინტერესებს, რომელიც ზემოდად გვიყურებს, სხვათა შორის, ზომის მიუხედავად, მათ შორის, ბალტიის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლის აქციაზე დგომაც გვაჩვენებს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რომელიც ჩვენზე პატარაა ზომითაც და მოსახლეობითაც, რატომაც ჰგონია, რომ ზემოდად უნდა გვიყუროს და ჭკუა გვასწავლოს. რატომ ჰგონია ეს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, დღემდე ვერ მივხვდი. ამიტომ არის ეს პრობლემა, ვილაცხვებთ თავი შეაფარეს ევროკავშირს, გარანტირებული აქვთ ატომური დაცვის ქოლგა, ევროკავშირის სუბსიდიები, უსაფრთხოება - ყველაფერი გარანტირებული აქვთ, ჩვენ, ამ გარანტიების გარეშე, ომის საფრთხის ქვეშ, ოკუპაციის პირობებში ვცხოვრობთ 30 წელია და ქვეყანა ეკონომიკურად წინ მიინეგს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მცდელობა იყო, ეს ქვეყანა შეგინდეს და გარედან შეერყიათ, ვერაინ მიიღწია იმ შედეგს, რომელიც მათ სურდათ“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

„რადიკალური ოპოზიციის და მათი მოკავშირე „ენჯელების“ პოზიციამ ჩვენ დაგვანახა, რომ ერთ მხარეს დგას ქართველი ხალხის ინტერესი, რომელსაც წარმოადგენს „ქართული ოცნება“ და მეორე მხარეს დგანან ოპოზიცია და მათი მოკავშირე „ენჯელები“, რომლებიც უცხო ქვეყნების ინტერესით მოქმედებენ. ამიტომ არიან გამწარებულები და სიტყვა ლალატი უნდათ როგორმე ბევრჯერ თქვან, იმიტომ, რომ საკუთარ ლალატს ხედებიან და საკუთარ ლალატში არიან ჩაჭედდები. ამ გადაწყვეტილებებით მათ დაგვანახეს, რომ არიან უცხო ქვეყნების მხარეს და არა საქართველოს მხარეს. სინამდვილეში, ჩვენ ამ პროცესში ვნახეთ ეს ჯგუფი, „ენჯელები“ და რადიკალური ოპოზიციის, რომელიც 21-ე საუკუნის ორჯონიკიძეები არიან. მათ უნდათ უცხო ქვეყნის სანქციებს წინ წამოუძღვინონ და რამენაირად ცეცხლი გამოიწვიონ საქართველოზე. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, უცხო ქვეყნის ჯარსაც შემოუძღვებოდნენ, როგორც ორჯონიკიძე შემოუძღვდა მე-11 არმიას. მაშინაც ისიც ამას ამბობდა, პროგრესული ვარ და პროგრესი შემომავსებს საქართველოში, ასე ჰქონდა წარმოჩენილი. ზუსტად იგივე, 21-ე საუკუნის ორჯონიკიძეები პირდაპირ მოქმედებენ უცხო ქვეყნების ინტერესებით.

## ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში ცვლილებები შედის

ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამოქმედების მიზნით, ასევე, საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული ასოციაციის შეთანხმების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწევსას მომხმარებლის უფლებების დაცვის წესის“ ცვლილებები დაამტკიცა, რომელიც ძალაში 2024 წლის 1 ივლისიდან შევა. ინფორმაციას ეროვნული ბანკი ავრცელებს.

მათი ცნობით, ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. „სწორედ ამიტომ, საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ცდილობს არსებული პრაქტიკის დახვეწას და გაუმჯობესებას, მათ შორის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და სექტორში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

ცვლილებების მიხედვით, მომხმარებელს უფლება ექნება უარი თქვას დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებზე, ასევე, ერთ მილიონ ლარამდე გაცემულ სესხებზე/კრედიტებზე მათი გაფორმებიდან 14 დღის განმავლობაში. უფრო კონკრეტულად, სესხის/კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გატანილი ძირის დაბრუნების გარდა, მომხმარებელი მხოლოდ გამოყენებული პერიოდის პროცენტს, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოსთვის და ნოტარიუსისთვის გადახდის

აღსანიშნავია, რომ პროექტის განხილვის პროცესში სრულად იყო ჩართული საფინანსო სექტორი. ამასთან, დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაც.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც გააგრძელებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სექტორში არსებული გამოწვევების შესწავლას და, საჭიროების შემთხვევაში, მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწას“,- აღნიშნულია ინფორმაციაში.

## ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ადამიანი კეფაში 84 ტყვიით დაემუქრა თანამდებობის პირებს — შალვა პაპუაშვილი



სინამდვილეში, ჩვენ ამ პროცესში ვნახეთ ჯგუფი, „ენჯელების“ და რადიკალური ოპოზიციის, რომელიც 21-ე საუკუნის ორჯონიკიძეები არიან. მათ უნდათ უცხო ქვეყნის სანქციებს წინ წამოუძღვინონ და რამენაირად ცეცხლი გამოიწვიონ საქართველოზე. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, უცხო ქვეყნის ჯარსაც შემოუძღვებოდნენ, როგორც ორჯონიკიძე შემოუძღვდა მე-11 არმიას. მაშინაც ისიც ამას ამბობდა, პროგრესული ვარ და პროგრესი შემომავსებს საქართველოში, ასე ჰქონდა წარმოჩენილი. ზუსტად იგივე, 21-ე საუკუნის ორჯონიკიძეები პირდაპირ მოქმედებენ უცხო ქვეყნების ინტერესებით.

„რადიკალური ოპოზიციის და მათი მოკავშირე „ენჯელების“ პოზიციამ ჩვენ დაგვანახა, რომ ერთ მხარეს დგას ქართველი ხალხის ინტერესი, რომელსაც წარმოადგენს „ქართული ოცნება“ და მეორე მხარეს დგანან ოპოზიცია და მათი მოკავშირე „ენჯელები“, რომლებიც უცხო ქვეყნების ინტერესით მოქმედებენ. ამიტომ არიან გამწარებულები და სიტყვა ლალატი უნდათ როგორმე ბევრჯერ თქვან, იმიტომ, რომ საკუთარ ლალატს ხედებიან და საკუთარ ლალატში არიან ჩაჭედდები. ამ გადაწყვეტილებებით მათ დაგვანახეს, რომ არიან უცხო ქვეყნების მხარეს და არა საქართველოს მხარეს. სინამდვილეში, ჩვენ ამ პროცესში ვნახეთ ეს ჯგუფი, „ენჯელები“ და რადიკალური ოპოზიციის, რომელიც 21-ე საუკუნის ორჯონიკიძეები არიან. მათ უნდათ უცხო ქვეყნის სანქციებს წინ წამოუძღვინონ და რამენაირად ცეცხლი გამოიწვიონ საქართველოზე. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, უცხო ქვეყნის ჯარსაც შემოუძღვებოდნენ, როგორც ორჯონიკიძე შემოუძღვდა მე-11 არმიას. მაშინაც ისიც ამას ამბობდა, პროგრესული ვარ და პროგრესი შემომავსებს საქართველოში, ასე ჰქონდა წარმოჩენილი. ზუსტად იგივე, 21-ე საუკუნის ორჯონიკიძეები პირდაპირ მოქმედებენ უცხო ქვეყნების ინტერესებით.

გუშინ იყო შემთხვევა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ადამიანი, მედიაში, პოლიტიკური თანამდებობის პირებს კეფაში 84 ტყვიით დაემუქრა. ეს ადამიანი ევროკავშირისგან იღებს ხელფასს. სამწუხაროა, რომ ევროკავშირის არც წარმომადგენლობა, არც რომელიმე წევრი ქვეყანა ამას არ გამოეხმაურა. გუშინდელს შემდეგ ყოველი დღე, როცა მას ფული ჩაერიცხება ევროკავშირის ბიუჯეტიდან, ეს იქნება იმ 84 მოსახვედრი ტყვიის ფული. კეთილი ინებოს ყველამ და ამაზე დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება, რატომ იხარჯება ევროკავშირის მოქალაქეების ფული აქ რადიკალებში, რომლებიც ტყვიით ემუქრებიან ქართველებს. ეს არის ევროპული ღირებულება, ამას გვეუბნებიან, ესაა დეპოლორიზაცია? ამ საქმეს მე მივყავი და პერიოდულად გადავამოწმებ ეს ადამიანი, რომელიც კეფაში 84 ტყვიით იმუქრება, ხელფასს იღებს თუ არა ევროკავშირის ბიუჯეტიდან. მასთან ურთიერთობის გაგრძელება ნიშნავს ნახალისებას, თავზე ხელის გადასმას. ეს ტერორი არის პირდაპირი პასუხისმგებლობა დონორების, რომელიც ახალისებენ, უწყობდებიან და ხმას არ იღებენ.

ასევე, როდესაც დადან, აჭრელებენ პოლიტიკური თანამდებობის პირების ბინებს, შეილება ავიწროებენ, ითხოვენ სად სწავლობენ მათი შვილები, სად არიან მათი მეუღლეები, მიადგნენ და მოლაღატები ეძახონ, გარიყონ საზოგადოებისგან, ამაზე ავებენ პასუხს ის დონორები, რომლებიც ამას ხელდავენ და მათ თვის ბოლოს ფულს ურიცხავენ, რომ ეს ტერორის ჩამდენი ადამიანები თბილად ნავიდნენ და კავშირი ყავა დალიონ, მას შემდეგ, რაც დაატერორებენ ბავშვებს. ეს არის 21-ე საუკუნის ფაშიზმი. ამას ათაფერი კავშირი არ აქვს ევროპასთან, რომელიც ჩვენ „ქართულ ოცნებას“ და ქართულ საზოგადოებას წარმოგვიდგენია. ამას აქვს კავშირი ევროპასთან, რომელიც 100 წლის წინ იყო ევროპაში და ჩვენთან 2012 წლამდე. ასეთ ევროპაში ვიცხოვრებთ და ასეთი ქართული გაგების ევროპას მაშინდელი ევროკავშირი უწყობდებოდა, აქებდა და დემოკრატიის შუქურას ეძახდა“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

## დედოფლისწყაროსა და ახმეტის ახალი ნაგავზიდვები გაღივდა

კახეთის რეგიონს, საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებით, ახალი ნაგავზიდვები გაღივდა, მათ შორის ავტომანქანა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს მოემსახურება.

გადაცემის ღონისძიებას დაესწრო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონულ თანამდებობის დეპარტამენტის უფროსი ნიკა ტყემალაძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ - რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულები და კომპანია „ჯითის“ წარმომადგენლები.

საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებისთვის შეიძინა 82, 10 და 16-კუბიანი „ივეკოს“ ფირმის ნაგავზიდვები, რომლებიც საქართველოს ყველა რეგიონში (ჯამში 49 მუნიციპალიტეტში) გადანაწილდება. მათ შორის, ამ ეტაპისთვის 2 ნაგავზიდვი გადაეცა კახეთის რეგიონს, აქედან, 1 ნაგავზიდვი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს და 1 ნაგავზიდვი ახმეტის მუნიციპალიტეტს.

ნაგავზიდვების შესყიდვა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან

განხორციელდა, ხოლო ღირებულება 33 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

რეგიონების განვითარება ხელისუფლების პრიორიტეტია. განხორციელებული აქტივობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს წარჩენების მართვის კუთხით, ასევე, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა ერთგვარად არ არის. მთავრობის გადამწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებში არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, კვლავ გაგრძელდება ახალი ნაგავზიდვების შექმნა.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „ჯითი გრუპმა“ 48 ერთეული ნაგავზიდვი საქართველოში უკვე ჩამოიყვანა. პროცესი გრძელდება, მომდევნო თვეების განმავლობაში ტექნიკა ეტაპობრივად ჩამოვა საქართველოში.

ავტომობილები დამზადებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აღჭურვილია ევრო 5 ემისის სტანდარტის ძრავებით. ნაგავზიდვები არის სხვადასხვა წარმადობისა და სხვადასხვა რელიეფისთვის განკუთვნილი, მათ შორის აღსანიშნავია მძიმე პირობებისთვის გათვლილი 4X4-ზე ავტომობილები, რომლებიც განკუთვნილია მაღალმთიანი რეგიონებისთვის, სადაც მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია მსგავსი ტიპის სატვირთო ავტომობილების გამოყენება, რათა მათ ყველა სეზონსა და ყველა კლიმატურ პირობებშიც შეძლონ ოპერირება.



### ავტობუსები ამოქმედდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტი 3 ივნისიდან ამოქმედდება.

ავტობუსები რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას **სამრეკლო — ქ. დედოფლისწყარო — ხორნაბუჯის** მიმართულებით განახორციელებენ.

№141 მარშრუტზე მგზავრობის ტარიფი განსაზღვრულია — **1.00 ლარით**. ავტობუსების სამუშაო გრაფიკია **ყოველ დღე, 08:30 საათიდან 20:00 საათამდე**. ისინი **ყოველ საათში ერთხელ იმოქმედებენ**.

რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე 50% შეღავათიანი ტარიფით ისარგებლებენ.

- ▶ პენსიონერები.
- ▶ იძულებით გადაადგილებული პირები.
- ▶ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები.
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.
- ▶ სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.
- ▶ სოციალურად დაუცველი

მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000 -ს.

▶ სოციალურად დაუცველი მარჩენალდაკარგული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს.

▶ სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს.

▶ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.

▶ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები.

▶ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „დედოფლისწყაროს სათნოების სახლის“ ბენეფიციარები.

▶ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგები.

### „საქართველოს ქალების“ საქველმოქმედო აქცია



საერთაშორისო საქველმოქმედო ასოციაციის - „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმომადგენლები დედოფლისწყაროს ეწვივნენ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მორიგი საქველმოქმედო აქცია განახორციელეს.

ასოციაციის თავმჯდომარე მაია კვეზერელი ასოციაციის წევრებთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანაშვილს შეხვდა და მასთან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი საქველმოქმედო ღონისძიებების შესახებ ისაუბრა.

ნაწული შევარდნაძე-ცაგარეიშვილის მიერ დაფუძნებული ასოციაციის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯისა და ზემო მაჩხაანის სასკოლო ბიბლიოთეკებს წიგნები, ხოლო ქ. დედოფლისწყაროს ორ საბავშვო ბაღს სხვადასხვა სახის სათამაშოები გადასცეს.

დედოფლისწყაროს სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის, ირმა ჯანაშვილის განმარტებით, ამჯერად საქველმოქმედო სათამაშოები ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №3 საბავშვო ბაღებს გადაეცა.

ორგანიზაციის წარმომადგენელთა განმარტებით, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში სასაჩუქრე კალათები ასევე დედოფლისწყაროში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ 15 ოჯახს დაურიგდა.



### სამუშაო თათბირი მერიაში

29 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანაშვილის ხელმძღვანელობით მერიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას მერის მოადგილეები, სტრუქტურული ერთეულების და ა(ა)იპების ხელმძღვანელები, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თათბირზე ნიკოლოზ ჯანაშვილმა თანამშრომლებისგან მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობაზე დეტალური ინფორმაცია მოისმინა და განსახორციელებელი პროექტები მათთან ერთად განიხილა. შეხვედრის დამსწრეებს მერმა მეტი ჩართულობისკენ მოუწოდა და მათ კონკრეტული დავალებები მისცა.

### სან დიეგოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები მერს შეხვდნენ



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშვილი მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯს ეწვია, სადაც ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტის ფარგლებში ამჟამად აღმაშენებლის ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მერის განმარტებით, წელსვე სრულდება ცენტრალური პარკის აღდგენის სამუშაოები, რომელთა მისასვლელადაც უმალესი ხარისხის გზა ახლა კეთდება, რათა მოსახლეობა დასასვენებელ რეკრეაციულ ზონას ახალი გზით დაუკავშირდეს.

ქ. დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩის მონაკვეთის და სოფელ ხორნაბუჯში აღმაშენებლის ქუჩის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ჯამური ღირებულება 1 938 360 ლარია.



### სან დიეგოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები მერს შეხვდნენ



საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების გაუმჯობესების მიმართულებით აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. პროგრამის ფარგლებში I2Q პროექტისა და SDSU-ს თანამშრომლობით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების ტრენინგები მიმდინარეობს. ამის შესახებ „შირაქი“ წინა ნომრებში ვრცლად გიაგებოდა. მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები გასულ კვირას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანაშვილს და დედოფლისწყაროს სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელს, ირმა ჯანაშვილს შეხვდნენ და კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიანოდეს.

შეგახსენებთ, ტრენინგების პილოტირება საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში – დედოფლისწყაროში, ახალციხეში, გორში, ზუგდიდში, ვანსა და ლანჩხუთში მიმდინარეობს.

**3 აპრილი**  
 ა(ა)იპ დედოფლისწყაროს კომუნალური მომსახურების ცენტრი აცხადებს ვაკანსიას გრეიდერის ოპერატორის პოზიციაზე.  
 საკვალიფიკაციო მოთხოვნები: მართვის მოწმობა, შესაბამისი კატეგორია.  
 სამუშაო გამოცდილება: პასუხისმგებლობის გრძნობა.  
 განცხადებები მიიღება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 4 ივნისის ჩათვლით.  
 დეტალებისთვის დაგვიკავშირდით: 595 77 59 91

# ანსამბლ „მანდილის“ საანგარო კონცერტი

დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლის „მანდილი“ საანგარო კონცერტი გაიმართა 30 მაისს. ანსამბლის ხელმძღვანელია დალი ელისაშვილი.

„ნინა ნლებში ანსამბლი „მანდილი“ ძირითადად ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა. ნელს ანსამბლს 15 წელი შეუსრულდებოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვემრავალფეროვნებინა რეპერტუარი, ამიტომ დღევანდელ კონცერტზე შემოგთავაზებთ პროფესიონალ ქართველ კომპოზიტორთა საბავშვო და საესტრადო სიმღერებს, ასევე შესრულდება სამი ქართული ხალხური სიმღერა.

იმვიათია მსოფლიოში ქვეყანა, სადაც ამდენი სასიმღერო მარგალიტა თავმოყრილი, რაც ქართული გენის სასიმღერო ნიჭის კიდევ ერთი დადასტურებაა. დღეს მოისმენთ: სულხან ცინცაძის, რევაზ ლალიძის, ვაჟა აზარაშვილის, გოგი ცაბაძისა და სხვა კომპოზიტორების სიმღერებს. - ამ სიტყვებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას კონცერტის წამყვანმა სალომე ლეკაშვილმა.

მაკა აროშიძის სიმღერით „ხელები“ დაიწყო სასიამოვნო საღამო. საოცარმა ჰანგებმა და აკადემიურმა შესრულებამ პირველივე ბეგრებიდან დაიპყრო მსმენელთა ყურადღება.

„პირველად იყო სიმღერა გალობა ლამაზხმანისა და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი“- ეს იწოლა გურგულიას, კომპოზიტორისა და შემსრულებლის სიმღერის ცნობილი ფრაზაა, თვითონაც სწორედ სიმღერისთვის, სიკეთისთვის და სიყვარულისთვის მოვიდა ამ ქვეყანად.



მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა 48 წლის ასაკში გარდაიცვალა, ამ ნიჭიერმა ქალბატონმა უამრავი ლამაზი სიმღერა დაგვიტოვა. „ადამიანი“, „საქანელა“, „ფიქები“, „ლიმილი მინდა“ და მრავალი სხვა.

კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ხსოვნას მიეძღვნა სიმღერა „საქართველო“ კინოფილმიდან „მზე შემოდგომისა“. ქართული ხალხური სიმღერა „ამოდი მთაში“ შესრულეს გიორგი მკრტიჩიანმა და მარიამ ტოკლიკიშვილმა და დარბაზის მხურვალე ოვაციებით დაიმსახურეს. სასიამოვნო მოსასმენი იყო რევაზ ლალიძის სიმღერა „პერიო, ბიჭებო“- დები - ანა და თინათინ ვარდიაშვილების და სალომე ლეკაშვილის შესრულებით.

ანსამბლის პატარა მომღერლებმა შესარულეს მათი ოთიაშვილის სიმღერა „იანვანა დედიკო“, რომელიც მიუძღვნეს ყველა დედას. ამ სიმღერის შესრულებისას პატარებმა დიდი სიყვარული

და გრძნობა რომ ჩადეს, ამას მსმენელთა რეაქციაც ადასტურებდა. შემდეგ შესრულდა თეა მაჭარაშვილის სიმღერა „რა ღამეა“.

ანსამბლის სოლისტების, ლუკა ყაჭაშვილისა და სალომე ლეკაშვილის აკადემიურად შესრულებულმა სიმღერამ ფილმიდან „თოჯინები იცინიან“, (კომპოზიტორი სულხან ცინცაძე) მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

„საქართველოში არ არსებობს ადამიანი, რომ არ უყვარდეს რევაზ ლალიძის მუსიკა, ან არ მღეროდეს მის ულამაზეს სიმღერებს. ბატონი რეზო ბუნებთაც ძალიან თავმდაბალი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. რეჟისორი რეზო ჩხეიძე იხსენებს: „ყველა ადამიანის გამარჯვება უხაროდა, არავისი შურდა. ერთხელ ვკითხე: - ნუთუ ყველა ასე ერთნაირად გიყვარს, ამდენ სიკეთეს რომ არიგებ გარემო? ნუთუ არავინ განყენინა, რამე

ტკივილი არ დაგიტოვა გულში? რეზო ბევრი იცინა და მიპასუხა: - როგორ არა. ბევრი ცუდიც მასსოვს, მაგრამ, თუ ქრისტიანი ხარ, ისიც უნდა იცოდეს, ავს ავით არასდროს უნდა უპასუხოო“. ამიტომაცაა რევაზ ლალიძის მუსიკა საოცრად თბილი და ლამაზი.

რევაზ ლალიძის ცნობილი სიმღერა „ჩიტი გვრიტი მოფრინავდა“ შესრულა ლუკა ყაჭაშვილმა და გიორგი მკრტიჩიანმა. დები ვარდიაშვილების შესრულებით გაიჟღერა ქალაქურმა სიმღერამ „ჩონგურს სიმები გაუბი“. მათივე შესრულებით მოვისმინეთ გოგი ცაბაძის დუეტი კინოფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ შემსრულებლები: ლუკა ყაჭაშვილი, სალომე ლეკაშვილი გოგი ცაბაძის „ჩემი საქართველო აქ არის“, ანა ვარდიაშვილი და სალომე ლეკაშვილი „სიმღერა აფხაზეთზე“, სულხან ცინცაძე „თბილისის დილა“- სოლისტი მარიამ ფიროსმანაშვილი, რევაზ ლალიძე „თბილისო“, გოგი ცაბაძე „ჩარირამა“. თინათინ ვარდიაშვილი, რომელმაც შესრულა სიმღერა ფილმიდან „აბუხარა“, ძალიან ჰგავს თავისი ხასიათით ამ პერსონაჟს, ალბათ ამიტომ გაითავისა ასე ეს მხიარული მელოდი და სიხალისით აავსო მსმენელი.

მელოდიური, თბილი, აკადემიური და სიხალისით გაგვირებული საღამო შედგა. სცენიდან წამოსულმა სასწაულმა ენერგეტიკამ მთლიანად დაიპყრო მსმენელთა გული. კიდევ მრავალჯერ გაგვხარებინოთ თქვენი მსმენელი. გაზეთ „შირაქის“ რედაქცია წინსვლას და წარმატებებს გისურვებთ.

ნათუნა კენახვილი

## მუსიკა, როგორც აღზრდის საშუალება და ცხოვრების ნაწილი

ბავშვებისთვის, რომლებიც მუსიკის სიყვარულით იზრდებიან, პატარაობიდანვე უსმენენ მას, მღერავენ საყვარელ სიმღერებს და ჰყვებიან რიტმს, ადრევე იღებენ კარი ფერებისა და სხვადასხვა ყლერადობის ბეგრების სამყაროში. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ეს ყველაფერი ტვინის უჯრედებს სწრაფი განვითარებისკენ უბიძგებს.

მუსიკა დადებითად მოქმედებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროზე - ინტელექტუალურზე, სოციალურზე, მოტორულსა და ემოციურზე. ის სხეულსა და გონებას პარამონიულ მოქმედებაში ეხმარება. ამ სიტყვების უტყუარობაში დარწმუნდებოდა ყველა, ვინც 28 მაისს ღონისძიებას დაესწრო.

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის ისტორიაში პირველად ჩატარდა უფროსკლასელთა გამოსაშვები საღამო, რომლის სახელწოდებაც ასე ჟღერდა - „ბოლო აკორდი“. ამ აკორდებით დაემშვიდობნენ მოსწავლეები სამუსიკო სკოლასაც და თავიანთ პედაგოგებსაც.

„აღვლევებული მასწავლებელი, პასუხისმგებელიანი მოსწავლე, მშობლები, სტუმრები...მუსიკა სასწაულს ახდენს. თქვენ არ შეგიძლიათ შეეხოთ მას, მაგრამ გეს-



მოვეფეროთ და მადლობა გადავუხადოთ მათ“-განაცხადადეს მოსწავლეებმა. მართლაც, მთელი საღამო იყო სიყვარულისა და მადლიერების ზეიმი. გამოხატვის ფორმად კი მუსიკა და იუმორი აირჩიეს.

მოსწავლეებმა შესარულეს მუსიკალური ნაწარმოებები როგორც ფორტეპიანოს, ასევე ვიოლინოს თანხლებით, გაიხსენეს გამოჩენილი ადამიანების აზრები მუსიკის მნიშვნელობაზე, ყველაზე დასამახსოვრებელი იყო სახალისო სკეტჩები, სადაც ისინი ნორჩ მსახიობებად გარდაიქმნნენ და გააცოცხლეს სამუსიკო სკოლის გაკვეთილები, ბავშვებისა და პედაგოგების ურთიერთობები... მუსიკის თანხლებით იხუმრეს, იხალისეს და ულამაზესი დღე აჩუქეს პედაგოგებს, მშობლებსა და დამსწრე საზოგადოებას.

იღვის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ სკოლის სასწავლო ნაწილის (განყოფილების უფროსი) ლია ხაჩიაშვილი.

„ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ ჩვენს ბავშვებს და ვუსურვებთ, მუსიკა ყოველთვის ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი“-განაცხადა ღონისძიების დასასრულს ხელოვნების სკოლის დირექტორმა დალი ელისაშვილმა.

სალამოს ბოლო აკორდად იქცა მასწავლებლებთან ერთად საჰაერო ბურთების გაშვება, რომლის მეშვეობითაც თავიანთი სურვილები ვირტუალურად გაუგზავნეს სამყაროს.

ინგა შიოლაშვილი

## სამუსიკო სკოლების ერთობლივი ღონისძიება

23 მაისს ქალაქ დედოფლისწყაროში ჩატარდა დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის და სიღნაღის სამუსიკო-სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლეთა და პედაგოგთა გაერთიანებული კონცერტი.

დალი ელისაშვილი (დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დირექტორი): „ბოლო ხანს სიღნაღელ კოლეგებთან სატელეფონო მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა და მინდოდა პროფესიულ თანამშრომლობაში გადაზრდილიყო. ასე სპონტანურად დავინყეთ თანამშრომლობა. სამწუხაროდ, მრავალი წელია ასეთი ურთიერთობები ბევრი მიზეზის გამო მოშლილი იყო. ტრანსპორტის არარსებობის და სხვა მიზეზების გამო მოკლებული ვართ შესაძლებლობას, რაიონებს შორის ასეთი თანამშრომლობა შედგეს. ამიტომ, როცა ჩემი იდეა სიღნაღის სახელოვნებო სკოლის დირექტორს ქალბა-

ტონ ლალი ფოლადაშვილს გავაცანი და დედოფლისწყაროში მოვიწვიე, სიამოვნებით მიიღეს ჩვენი წინადადება და რამდენიმე პედაგოგი და მოსწავლე გვესტუმრა. ემოციებით დატვირთული და ძალიან ამაღლებელი საღამო გამოვიდა.

ორივე ქიზიყის შემადგენელი რაიონია და ჩვენს შორის ასეთი თანამშრომლობა

ბა მნიშვნელოვანია. შევთანხმდით, რომ პროფესიული თანამშრომლობა სამომავლოდ გაგრძელდებოდა. ხან ჩვენ ჩავალთ სიღნაღში, ხან ისინი გვესტუმრებიან და ასე გაღრმავდება ურთიერთობები. ისინი ჩვენ შეგვაფასებენ, ჩვენ მათ და ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება ეს კავშირი. გავცნობით ერთმანეთის ნამუშევარს, გავუზიარებთ გამოცდილე-



ბას, კოლეგიალური და ადამიანური ურთიერთობები გვექნება და ერთმანეთს განვითარებაში დავეხმარებით. სხვათაშორის, ჩვენი რამდენიმე პედაგოგი სიღნაღის სკოლის კურსდამთავრებულია და მრავალი წელია აღარ ჰქონიათ მათთან კონტაქტი, ამ საღამომ კი სენტიმენტები გააღვიძა და სხვა ემოციები მოიტანა. გავიხარდა, რომ სიღნაღში ასეთი ნიჭიერი ბავშვები და კვალიფიციური პედაგოგები არიან, იმედი მაქვს ისინიც კმაყოფილები გავაცილებთ და ამას ნამდვილად გამოხატავდნენ“.

„ეს იყო დაუფინყარი და ემოციებით დატვირთული დღე! ხელოვნების, ნიჭის და მეგობრობის ზეიმი! კონცერტზე შესრულდა ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა საფორტეპიანო, საორკესტრო და ვოკალური ნაწარმოებები,“ — აღნიშნეს სიღნაღის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში.

ილია მარტყოფლიშვილი

# „თუ არ წამოდგები, სამყარო გაგთელავს“

დაბადებიდან ყველა თანასწორია, მაგრამ ერთნაირ გარემოში როდი ვიზრდებით. ცხოვრება ახალშობილებს განსხვავებულ გარემოს სთავაზობს. ზოგჯერ ცხოვრება ადამიანებს ჩაგრაებს, ერთ დაცემას მეორე მოსდევს და ასე დაუსრულებლად. თუ არ წამოდგები, სამყარო გაგთელავს. მთავარია იპოვო ძალა და ცხოვრება განაგრძო, აუტანელი რეალობის დროსაც შეძლო სიცოცხლის სილამაზე შეიგრძნოს. „შირაქის“ დღევანდელი სტიქარია ამის ნათელი მაგალითია. უმძიმესი ტრადიციების და შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად ცდილობს მყარად წამოდგეს. ცხოვრებისგან ბევრს არაფერს ითხოვს, ელემენტარულიც აბედნიერებს, მაგრამ ამისათვის ყოველდღიური ბრძოლა უნებს.

**ივო პოპიაშვილი:** „დედოფლისწარმოში დავიბადე, საბავშვო ბაღშიც აქვე დავდიოდი. ორი წლის ვიყავი, მამა სახლთან ახლოს, საბავშვო ეტლით ტროტუარზე მასეირნებდა და სწრაფად მომავალი მანქანა დაგვეჯახა. შემთხვევა 1991 წელს ქ. დედოფლისწარმოში, ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ინერციამ მე სკვერში გადამისროლა, მამაჩემი კი 44 წლის ასაკში ადგილზე გარდაიცვალა, მანქანამ ზედ გადაუარა. თავი დავარტყი და გარკვეული დაზიანებები მაშინ მივიღე. ნამიყვანეს საავადმყოფოში და ასე გადავრჩი. როცა გავიზარდი, ერთ-ერთმა თვითმხილველმა მითხრა, რომ ხელი მამაჩემმა მკრა და ეტლით სკვერში გადამაგდო. ამ შემთხვევამ ჩემი ცხოვრება შეცვალა. დღესაც არ ვიცი ვინ დაგვეჯახა. დედაჩემი არ მიყვებოდა, არ უნდოდა მცოდნოდა, ვინ იყო მძღოლი. განუკითხაობის წლები იყო და დამნაშავე არ დასჯილა. ყურმოკვრით ვიცი, რომ ფული გადაიხადა და სასჯელს თავი დააღწია. სრულიად ჯანმრთელი ბავშვი ვიყავი, ამ ავარიის შემდეგ კი ფეხიც დამიზიანდა. როცა უკვე ფეხი ავიდგი, მერე გამოჩნდა, რომ დეფექტი მქონია. მაგრამ, ძალიან გვიჭირდა, ოჯახს მარჩენალი აღარ ჰყავდა და სათანადო მკურნალობა ვერ გავიარე. ნერვოული სისტემაც დამიზიანდა. 90-იანი წლების განუკითხაობა იყო, მაშინ დედაჩემმა კი მისი ნაკვეთი და ბევრი რამ ისე გადაიფორმა, რომ არაფერი დამიტოვა. ნარმოუდგენელ გაჭირვებაში ვიზრდებოდი. დედა მუშაობდა და ცდილობდა ჩემთვის არაფერი მოეკლო. სკოლაში შესვლის დრო რომ მომივიდა, დედოფლისწარმოში არ მიმიღეს, ამიტომ იძულებული გავხდი განათლების მისაღებად ზემო ბოძის სკოლაში შესულიყავი და 9 კლასი იქ დავამთავრე. დედასთან ზემო მანქანაში ვცხოვრობდი, მაქსიმალურად გვერდში მედგა, კარგი პირობები ჰქონდა და ხელს მინცობდა, ყოველდღიურად ბიძას დაეყავი მანქანაშიდან ბოძის სკოლაში. დედაც პერიოდულად ჩამოდიოდა. მერე დედოფლისწარმოში დავბრუნდი, მინდოდა ხელობა მესწავლა, რომ თავის რჩენა შემძლებოდა. 15 წლის ასაკში დურგლობაზე შევედი, მერე ფეხსაცმლის შეკეთება ვისწავლე და ცოტა ხანს ვიმუშავე კიდევ. ვერც აქ ნამივიდა კარგად საქმე, ხელსაწყობი და მასალები მჭირდებოდა, რისი ფულიც არ მქონდა. შემდეგ უკვე სოფელ სამრეკლოს პროფესიულ კოლეჯში შევედი, ელექტრო საქმე შევისწავლე, მართვის მოწმობა ავიღე.

2007 წელს კიდევ ერთი ტრადიციული შემთხვევა დადარჩი 54 წლის ასაკში თონეში ჩავარდა და გარდაიცვალა. მასსოვს, ფეხის ოპერაციისთვის ვემზადებოდი და საბუთებზე დავდიოდი. რამდენჯერმე გადადიო ოპერაცია, რადგან ხან საბუთები არასწორად გაიგზავნა, ხან დაფინანსება შეცდომით დედაჩემის სახელზე მოვიდა და პროცესი გაჭიანჭვდა. ამ საქმეებზე დავდიოდი მე და დედა. ერთ დღესაც მე გასული ვიყავი და დედა სახლში მარტო იყო. არ ვიცი რა წინათგრძობა მქონდა, მოუსვენრობა დამენყო და სახლში დროზე ადრე წავიდი, მაგრამ არ ვიცოდი რატომ მივიდი, ან რა მანუხებდა. რკინის ქუჩა მიგინდა და კეტილი დამიხდა, ვაკაუნე და არავინ გამიხსენა, ლობიდან გადავხტი და სახლში შევედი. ვეძებე, სახლში არავინ იყო, ვიფიქრე მეზობელთან გავიდოდა, რადგან დედა ტელეფონით სარგებლობდა ხოლმე. გამახსენდა, რომ ქუჩა შიგნიდან იყო დაკეტილი და ვერ გავიდოდა, თუ ვავიდოდა კარი არ დაიკეტებოდა. ეზოში თონეს გადახდილი ჰქონდა და არაფერი ჩანდა, თან დაბნეული ვიყავი,

მაგრამ ახლოს რომ მივედი დიდი უბედურება დავინახე, დედა შიგ იყო ჩაკეტილი, ნახევრად დამწვარი. შოკი მქონდა, იმხელა ხმაზე ვევიროდი, მეზობლები შემოვიდნენ, სასწრაფო გამოიძახეს, ამოიყვანეს მაგრამ რას ვუშველიდით, უკვე გარდაცვლილი იყო. დღემდე არ ვიცი, როგორ ჩავარდა, წნევამ დაარტყა, თუ რა მოხდა. მამობილი ამ დღეს საქონელთან, სამუშაოდ იყო წასული.

როცა მამა ცოცხალი იყო, კარგად ვცხოვრობდით. მერე კი გაჭირვება და ბევრი რთული დღე გამოვიარეთ. დედა ძალიან წვალბოდა, რომ მცირეწლოვანი შვილი გაეზარდა. 5 წლის ვიყავი, დედამ მეორე ოჯახი შექმნა. ძალიან გვიჭირდა და ამის გამო მე ბავშვობიდან ვმუშაობდი ხოლმე. ხან მეზობლებთან ვმუშაობდი და ცლაზე, დატვირთვაზე, ან ფიზიკურ სამუშაოებზე. ძალიან ბევრს ვწვალბობდი, რომ თავი გვერჩინა.

**— როგორია ცხოვრება ტრადიციების შემდეგ და რა ძალა იპოვე საკუთარ თავში?**

— მშობლების გარეშე ცხოვრება ძალიან რთულია. დედაჩემი მაინც ცოცხალი რომ ყოფილიყო, უფრო სხვანაირად ვიქნებოდი, ბევრად უფრო ლალი და ბედნიერი. ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაც ვაცხილებთ უკეთესი იქნებოდა. მშობლების გარეშე კი ახალგაზრდას ყველაფერი აკლია, მათ სიტოპს და თანადგომას ვერაფერი შეცვლის. ახლა კი ცხოვრების ყველა სირთულე საკუთარ თავზე ვიჭრები გადამაქვს. დამოუკიდებლად მიწვეს ვიზრუნო ყველაფერზე. უმძიმესად ვიცი ჩემი საზრუნავია, საკვებიც, სისუფთავეც. ვითარება უფრო რთულდება, რაც პატარა ასაკში ობლდები. როცა მშობლების თანადგომა მჭირდებოდა, მარტო დავრჩი, არანაირი გასაქანი არ მქონდა, სახლი ზედ მენგრეოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ოპერაციები მჭირდებოდა. ურთულესი ცხოვრება გავიარე. **ქნელია უპურო თანადგომის როგორ თანადგოვან, ერთობიან, სანადგომო და ლუკმის მოსაპოვებლად მივიჩნევი საუბაროს შესრულებას გინავს, მაშინ, როცა ჯანმრთელობაც არ გინყობს ხელს და შეზღუდული უნარი გაქვს.** თუ ჯანმრთელი იქნები და სხეული ხელს შეგიწყობს, ადამიანი არაფერს დაიზარებს და მეტს შეძლებს. ყველაფერის მიუხედავად არ გავებოროტებულვარ, მაგნე ჩვევებს არ ჩავუთრევივარ, ცუდი არავისთვის გამიკეთებია და ვცდილობ კარგად ვიცხოვრო.

საზღვარგარეთ წასვლაზეც ბევრჯერ მიფიქრია. მინდოდა სამკურნალოდ და სამუშაოდ გერმანიაში, ან საფრანგეთში წავსულიყავი. იქ მაღალტექნოლოგიური მკურნალობა ლტოლვილებისთვისაც ფინანსდება და ვაპირებდი, მაგრამ მამობილი ჩანვა და ვერ ვუღალატებდი. ვერ მივატოვებდი და ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზე ვერ ვიფიქრებდი. საქართველოში ფეხზე სამი ოპერაცია გავიკეთე, შემდეგ ძვირადღირებული მასალები მჭირდებოდა. ფეხის თითების ტკივილები მქონდა და ყველა თითზე მესაჭიროებოდა, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდებოდა და მხოლოდ ერთ თითზე მოვახერხე მკურნალობა. ძალიან გავწამდი. ხანგრძლივ მკურნალობასა და რეაბილიტაციის კურსს ვსაჭიროებ, რომ უკეთესი სარული შევიძლო. რადგან ფინანსური საშუალება არ მაქვს, აღარც ვცდილობ. რამდენჯერმე ჩემი ჯანმრთელობის მონაცემები ინტერნეტით საზღვარგარეთ გადავგზავნე, ამერიკელი ექიმი აქაც იყო ჩამოსული და გავაქანი ჩემი მდგომარეობა, მაგრამ ყველა ამბობს, რომ ხანგრძლივ დროსა და დიდ ფინანსებს მოითხოვს.

**— და მაინც... ცხოვრება ლამაზია?**  
— ბევრმა არ იცის, რა არის ცხოვრების მძიმე ჯგერის ტარება. როცა 2 წლის ასაკში მამა შენს თვალწინ დაიღუპება და დაობლდები, როცა სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ დედის წარმოუდგენლად ტრაგიკულ სიკვდილს იხილავ, ძალიან მძიმეა ეს ყველა-

ფერი. მართალია მამობილითან ერთად დავრჩი, ის ძალიან ნესიერი და კეთილი კაცია. ძალიან მაღლიერი ვარ მისი, მაგრამ მამა რომ მყოლოდა და ერთად გავზრდილიყავით, უფრო სხვა იქნებოდა. უფრო ლალი ბავშვობა მექნებოდა და ცხოვრება სხვანაირად წავიდოდა. ისე გამოვიდა, რომ მცირე ასაკიდან დამოუკიდებლად ვიზრდებოდი. ბევრი ვერ აცნობიერებს რა რთულია ცხოვრება, მარტივად უყურებენ ცხოვრებას და ჩემს გვერდითაც არიან ასეთი ადამიანები. ცხოვრებაში ბევრისთვის მიმიცია მაგალითი და მინდა ეს ინტერვიუც სტიმულისა მიმიცემი იყოს სხვებისთვის. **რით უნდა დაეხმოს სწავლის მხრივ და ბავშვობის შემთხვევაში, ამ ყველაფერს რწმენის და უფლის თანადგომის გარეშე ვერ გადავლახავთ და დღემდე ვერ მოვიძლიძობ. ჩამამაგალიტებთ ბავშვობაში. რაც აზროვნება დავინყე, ყოველთვის მაინტერესებდა რელიგია და მწამდა უფლის. ღმერთს მაღლობას ვეუბნები ყველაფერისათვის. შეიძლება ყოველთვის გმირი არ იყო, მაგრამ ადამიანად უნდა დარჩე. აქვე მინდა ვახსენო სამაგალითო ადამიანი, არბოშეკელი პარასპორტმენი გიორგი ხიზანიშვილი. მისი ცხოვრება და პიროვნება ჩემთვის მაგალითის და სტიმულის მომცემია. შორიდან ვიცი, მაგრამ ჩემთვის ის ყველაზე დიდი და მისაბაძი ადამიანია. ბიჭი, რომელმაც მცირე ასაკში ამხელა ტკივილი გადაიტანა, ორივე ხელი დაკარგა და ყველაფერი დეტალურად ახსოვს, მაგრამ მაინც მოახერხა, ფარმაკოლოგიაში დაიხარა. შეძლო ძალა მოეკრიბა, გაძლიერებულიყო, ფეხზე მყარად დამდგარიყო და ცხოვრებაში სათქმელი ეთქვა. სამაგალითო იმითაა, რომ არ წუნუნებს, არ მოსთქვამს, უმკლავდება ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რამხელა პრობლემისა და განსაცდელის წინაშე დგას. ხელების გარეშე ჯერ ფოტოგრაფობა სცადა, შემდეგ ფეხები აამუშავა, ვარჯიში დაიწყო და ნარმატებებიც იზეიმა. გამოავლინა უდიდესი შესაძლებლობები. პატივს ვცემ, რადგან სულიერად ძლიერია, ქრისტიანია და ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანია, რომ არ ვახსენოთ მისი განსაზღვრა, ცხოვრებისეული ხედვები, მისი სიძლიერეც კმარა. მიმაჩნია, რომ მის ამბავთან ჩემი ისტორია არაფერია. ამიტომ, მინდა ადამიანები მეტად დაფიქრდნენ ცხოვრებაზე და ღირებულებებზე, ასეთი მაგალითები იყოს დამოფიხილების საბაბი. მინდა, ადამიანები, რომლებიც გაურკვევლობაში არიან, სწორ გზას დაადგინონ და უფლის გზაზე იარონ.**

ცხოვრება რთული და ეკლიანია, ვინ რას გადაეყრება, არ ვიცი. ბევრი განსაცდელი შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ არ უნდა დავეხდეთ. განსაცდელი ადამიანს აძლიერებს. ცხოვრება მაშინაა ლამაზი, როცა ადამიანებს ერთმანეთი გვიყვარს და გვერდში ვუდგავართ. ყველა ადამიანში უნდა იყოს სიკეთე, სიყვარული და რწმენა, თუ ეს არ გვაქვს მაშინ ყველაფერი მუქ ფერებში ჩანს. ცხოვრება გვეყვითლია და კარგად უნდა დავიქრდეთ. პესიმისტები არ უნდა ვიყოთ, ყოველთვის უნდა ვეცადოთ პოზიტივზე ვიფიქროთ. **აღმამიანს რწმენა და სიყვარული გააძლიერებს. თუ რწმენითა და სიყვარულით ვიცხოვრობთ, მაგრამ მათთან დამოკიდებულების შემდეგ დედაჩემთან შექმნა ოჯახი და დღემდე ერთად ვცხოვრობთ. როგორც საკუთარი შვილი, ისე მიყურებდა. მენახიერე კაცი იყო, განსაკუთრებული შემოსავალი არასოდეს ჰქონია, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა ჩემს გვერდით დგომას. რაც შეიძლო, ყველაფერს აკეთებდა ჩემთვის. თუმცა, მაინც მორიდებით ვიყავი მასთან, როგორც საკუთარ მამასთან მიხვალ და რამეს სთხოვ, ასე მას**

5 წლიდან მამობილითან ვიზრდები, მაშინვე ორი უფროსი შვილი ჰყავდა, მაგრამ მათთან დამოკიდებულების შემდეგ დედაჩემთან შექმნა ოჯახი და დღემდე ერთად ვცხოვრობთ. როგორც საკუთარი შვილი, ისე მიყურებდა. მენახიერე კაცი იყო, განსაკუთრებული შემოსავალი არასოდეს ჰქონია, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა ჩემს გვერდით დგომას. რაც შეიძლო, ყველაფერს აკეთებდა ჩემთვის. თუმცა, მაინც მორიდებით ვიყავი მასთან, როგორც საკუთარ მამასთან მიხვალ და რამეს სთხოვ, ასე მას

ვერ ვუთამამდებოდი. მისგან ცუდი არაფერი მიგრძენია და თუ რამე შეეძლო, უარი არასოდეს უთქვამს. მასაც რთული ბავშვობა და ბევრი გაჭირვება აქვს გამოვლილი, სულ შრომაში გაატარა ცხოვრება და ყოველთვის წვალბოდა. ძალიან თბილი ხასიათის, უწყინარი ადამიანია. როგორც საკუთარი მშობელი, ისე მიყვარს და პატივს ვცემ. არ მახსოვს მისი ხმამაღალი სიტყვა არც ჩემი, არც დედას მიმართ. ძალიან კარგი ურთიერთგაგება ჰქონდათ. ისეთი ხასიათი მაქვს, ადამიანის სიკეთეს და მაღლს ყოველთვის ვაფასებ, რაც არ უნდა მცირედი იყოს, მუდმივად მახსოვს. ამიტომ ბოლომდე მის გვერდით ვიქნები. უკვე მეორე წელია ინსულტი დამმართა და ვეღარ მოძრაობს. ჩანოლილია და მე ვპატრონობ.

**— სახელმწიფოს და რაიონის თანადგომას რამდენად გრძნობ?**

— 2012 წლიდან კულტურის სახლში დავინყე მუშაობა, რამდენიმე წელი დარაჯი ვიყავი, 85 ლარი მქონდა ხელფასი. შემდეგ რადგან კოლეჯში ელექტრო საქმე ვისწავლე, მერმა გადაწყვიტა ჩემთვის ხელი შეეწყო და პროფესიულად მემუშავა, ამიტომ ელექტროინჟინერის დამხმარედ გადამიყვანეს დაახლოებით ათი წელია. ამას გარდა, ნიკოლოზ ჯანიაშვილი ოპერაციის დროსაც ძალიან დამეხმარა, რის გამოც ძალიან მაღლიერი ვარ მისი. სახელმწიფო მხარდაჭერით კმაყოფილი ვარ.

ჩემი მეგობარია ვალერი ლეკაშვილი და მათი ოჯახის ძალიან მაღლიერი ვარ. როგორც მეორე ოჯახს, ისე ვუყურებ, მათი დახმარებით კიდევ ერთი სამსახური შევიტაცე. გამიჩნდა დამატებითი შემოსავალი, რითაც სესხის აღება და რამდენიმე ნაბიჯის წინ გადადგმა შეეძლო. დამატებით დედასაქმე სურსათის ეროვნულ სააგენტოში, დედოფლისწაროს ვეტერინარული ზედა-მხედველობისა და ბიოუსაფრთხოების უწყებებში, რომლებიც ცხვრის გადსარეც ტრასაზე ცხოველების გასაბანებლად აშენდა. ეს სამსახური სეზონურია და მუდმივი ხელფასი არ არის, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია ჩემთვის. ვიყიდე მანქანა და თავისუფალ დროს ვტაქსაობ. ასევე დედოფლისწაროდან ამერიკაში წასულმა ბიჭმა, რომელთანაც არცთუ ისე ახლოს ვიყავი, რთულ მომენტებში რამდენჯერმე ფული გამომიგზავნა და თანადგომა მაგრძობინა. ასეთი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

**— როგორია შენი გეგმები და ოცნებები?**


— ოცნება ბევრი მქონდა, ბავშვობიდან ბევრ რამეზე ვფიქრობდი და ბევრ რამეზე დამწყვეტია გული, მაგრამ **ყველაზე მეტად ის მანუხავს, რომ ჯარში წასვლაზე ვმომზადდები, სამხედრო საქმე ყოველთვის მომხონდა და საინჟინერო მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.**

გეგმები ბევრი მაქვს, მაგრამ მათ განხორციელებას ვერ ვახერხებ. ძალიან ძველი, მამაჩემის მამის ორსაუკუნოვანი სახლია. აქ დავიბადე და დიდი ხანია მინდა მისი აღდგენა-გალამაზება. მწირი შემოსავლით მიჭირს ამის გაკეთება. მამობილი ცუდად რომ გახდა, ხელი მემუშავა და ვეღარ დავინყე. ცხოვრებისეულ მიზნებს რაც შეეხება, **მინდა ოჯახი მივხსნა, შვილები მყავდეს და ჩემი კვალი დავტოვო ცხოვრებაში. გვარი გავაბრკალო და გამხსნეაქალი მყავდეს.** მინდა შეილებზე ვიზრუნო და მათ გამო ყველაფერი გავაკეთო. ვეცდები, რაც მე დამაკლდა, მათ მივცე. ამიტომ ვწვალბობ და ვიბრძვი, რომ მყარად ვიყო. ჩემი შვილი აუცილებლად ქრისტიანი და კაცთმოყვარე იქნება, პირველ რიგში ადამიანების სიყვარულს ვასწავლი. მაქსიმალურად ვცდილობ, ყველას გვერდით დავუდგე და კარგი ადამიანის სახელი მქონდეს. **მაშინდა მარტოობა, ცხოვრება ამაზე უფრო მძიმეა, ვიდრე მარტოობა და არ მინდა მარტო დავრჩე.** ვოცნებობ ქრისტიანული პატარა ოჯახი მქონდეს და გვიხარო, დავტყუე მათი ბედნიერებით. რაც ცხოვრებამ დამაკლო, მინდა ჩემი განვლილი მწარე დღეები მუღლემ და შეილებმა გამილამაზონ. მინდა მავსახებდეს, გვერდით დამდგეს და რწმენით შექმნათ ოჯახი!

ესაუბრა **ილია მარტყოფლიძე**



# მონარქია თუ რესპუბლიკა



სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზაცია ამ სახელმწიფოს მმართველობის სახეს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ, განსაზღვრავს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურის და მათი ურთიერთქმედების პრინციპებს - სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივ სტატუსს.

დღეისათვის მსოფლიოში მმართველობის ორი ძირითადი სახე არსებობს - მონარქია და რესპუბლიკა. მონარქიის დროს სახელმწიფო მეთაურის (მეფის, იმპერატორის) ძალაუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა და სამართლებრივი განსაზღვრულობით ნაკლებად არის დამოკიდებული შიდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. რესპუბლიკა ისეთი მმართველობის სახეა, რომლის დროსაც სახელმწიფო მეთაურის (პრეზიდენტის) ძალაუფლება არჩევითი და შეცვლითია, წარმოებულა წარმომადგენლობითი ორგანოსა და ამომრჩეველებისგან.

წარსულში განსხვავება მონარქიასა და რესპუბლიკას შორის მნიშვნელოვანი ოდენობით ასახავდა პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობის ხარისხს. დღეისათვის თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების შედეგებით რეაქციულობა თუ დემოკრატიულობა, ცენტრალიზაცია ან დეცენტრალიზაცია უშუალოდ მმართველობის სახეზე არ არის დამოკიდებული, თუმცა, ამ უკანასკნელს შეუძლია რამდენადმე გარკვეული გავლენა მაინც მოახდინოს ზოგადპოლიტიკურ კონიუნქტურაზე.

მონარქიულ მმართველობის ორი ძირითადი ფორმა არსებობს.

1. აბსოლუტური მონარქიის დროს, სახელმწიფოს მეთაური ყოველსომცველი, შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობს სახელმწიფოს კონსტიტუციური ფორმირების უქონლობის გამო. დღეისათვის აბსოლუტური მონარქია თითქმის აღარსად შემორჩა.

2. კონსტიტუციური მონარქიის დროს სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილება რამდენადმე შეზღუდულია კონსტიტუციური წყობილების გარკვეული ნორმებით.

უზენაესი ძალაუფლების შეზღუდულობის მიხედვით განსხვავებულ ე.წ. დუალისტურ და პარლამენტურ მონარქიას.

დუალისტური მონარქიისათვის დაამახზიათებელია ძალაუფლების გარკვეული დუალიზმი (ორმობა) - მონარქისა და პარლამენტისა ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში მონარქის უფლებამოსილება ძირითადად საკანონმდებლო სფეროშია შეზღუდული, აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში კი საკმაო პრიორიტეტს ინარჩუნებს. მმართველობის ეს სახე განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მონარქიული სახელმწიფოებისთვის იყო დამახასიათებელი (გერმანია - 1871 წლის კონსტიტუციით, იაპონია - 1889 წლის კონსტიტუციით).

პარლამენტური მონარქია დღეისათვის საკმაოდ გავრცელებული მმართველობის სახეა თითქმის მთელ მსოფლიოში, მათ შორის, მონიჭავე საზოგადოებებში - ეკონომიური მდგომარეობის მქონე სახელმწიფოებში: დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ესპანეთსა და იაპონიაში.

პარლამენტური მონარქიის დროს, მონარქის, ძალაუფლება საკანონმდებლო მოღვაწეობის სფეროზე ფაქტიურად არ ვრცელდება. მისი გავლენა მართვისა და აღმასრულებელ მხარეებზეც საკმაოდ შეზღუდულია. ფაქტიურად (ზოგიერთ სახელმწიფოში კი ფორმალურადაც), მონარქის ვეტოს უფლებას არ ახორციელებს. სახელმწიფოში მთავრობა საპარლამენტო უმრავლესობის საფუძველზე ყალიბდება და, შესაბამისად, პასუხისმგებლობას მონარქის წინაშე კი არა, პარლამენტის წინაშე კისრულობს. თუ მთავრობას უნდობლობის ვოტუმი პარლამენტმა გამოუცხადა, ამ უკანასკნელის უფლებაა გადააყენოს მთავრობა და შექმნას ახალი. სახელმწიფოს ფაქტიურ მართვას მთავრობა, ახორციელებს პარ-

ლამენტის საკანონმდებლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე. მონარქის მიერ გარკვეული სახელმწიფოებრივი როლის შესრულება ძირითადად მთავრობის რეკომენდაციის საფუძველზე ხდება. მონარქის ნებისმიერი აქტი მთავრობის მეთაურის ამ შესაბამისი სამინისტროს ხელმძღვანელის კონტრასიგნაციას ითხოვს. ასე რომ, მონარქია დღეისათვის საკმაოდ სუსტ პოლიტიკურ დაწესებულებად გვევლინება და, როგორც წესი, სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში არსებით როლს არ თამაშობს.

ცალკეულ ქვეყნებში, პარლამენტური მონარქიისათვის მთელი რიგი ინდივიდუალური თავისებურებაა დამახასიათებელი, მონარქის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის უფლება შესაძლოა შემოიფარგლოს მხოლოდ წმინდა წარმომადგენლობითი როლით (იაპონიაში, - 1947 წლის კონსტიტუციის მიხედვით, შვედეთი - 1974 წლის კონსტიტუციის მიხედვით), მაგრამ შესაძლოა, აგრეთვე, მოიცავდეს გარკვეულ „სარეზერვო“ პრეროგატივებსაც შესაძლო პოლიტიკური კრიზისების გათვალისწინებით, (დიდი ბრიტანეთი, ბელგია).

მმართველობის მონარქიული სახე, საინტერესო თავისებურებით ხასიათდება, დიდი ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში შემავალი სახელმწიფოების შემთხვევაში (ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, და სხვა). ბრიტანეთის პარლამენტმა 1982 წელს ფორმალურად, კონსტიტუციური რწმუნებულება გადასცა კანადის პარლამენტს, მაგრამ ამ ნაბიჯს ჯერჯერობით არ გამოუწვევია კანადის სამართლებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის შემადგენლობაში. დომინიონები პირადი უნით არიან დაკავშირებული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოსთან და საკუთარი მონარქები არა ჰყავთ. თითოეული დომინიონის სახელმწიფო მეთაურად ბრიტანეთის მონარქია გამოცხადებული, მაგრამ მის ფუნქციებს დომინიონის მთავრობის მიერ წარდგენილი და ბრიტანეთის სამეფო ტახტის მიერ დამტკიცებულ გენერალ-გუბერნატორი ასრულებს.

მმართველობითი რესპუბლიკური სახე, დღეისათვის, მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოშია გავრცელებული. ამ შემთხვევაში ორ ძირითად სახესხვაობასთან გვაქვს საქმე - საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებთან.

საპრეზიდენტო (ანუ დუალისტური) რესპუბლიკა სახელმწიფო ორგანიზებულ სისტემაში პრეზიდენტის მნიშვნელოვანი როლით ხასიათდება. პრეზიდენტი ერთდროულად არის სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის მეთაური. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, პრეზიდენტი პოსტი არ არსებობს, მთავრობა საპარლამენტო წესით კი არ ყალიბდება, არამედ პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის წევრებს პარლამენტისაგან დამოუკიდებლად. (ამერიკის შეერთებულ შტატებში - სენატის თანხმობით). მინისტრები მოვალენი არიან განახორციელონ პრეზიდენტის პოლიტიკური ხაზი და პასუხისმგებელიც არის მის წინაშე არიან. პარლამენტს არ შეუძლია უნდობლობის ვოტუმი გამოუტანოს მთავრობას ან მის ცალკეულ წევრებს, პარლამენტის მხრიდან რომელიმე მინისტრის კრიტიკაც ყოველთვის არ იწვევს ამ უკანასკნელის გადადგომას.

სახელმწიფო მეთაური საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პარლამენტისგან დამოუკიდებლად აირჩევა ან მოსახლეობის მიერ არჩეული ამომრჩეველთა კოლეგიისგან, ან კიდევ პირდაპირ-მოსახლეობის მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში „ხალხის ნდობის მანდატით“ აღჭურვილი პრეზიდენტი ეძლევა იურიდიული უფლება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ვეტო დაადოს განხილვის პირველ ეტაპზე, რის შემდეგაც პარლამენტი ხელმეორედ იხილავს აღნიშნულ კანონს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი ვახდება არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი. ამავე პარტიიდან შეირჩევა და დაინიშნება მთავრობის შემადგენლობაც. პარლამენტის უმრავ-

ლესობა შეიძლება სულ სხვა პარტიას ეკუთვნოდეს (პარლამენტურ რესპუბლიკებში თითქმის გამოირცხვლია მთავრობის შემადგენლობის პარტიულობის ასეთი შეუსაბამობა პარლამენტის პარტიულ უმრავლესობასთან). საპრეზიდენტო რესპუბლიკის კიდევ ერთი არსებითი ნიშანია ძალაუფლების მკვეთრი გაყოფა-სახელმწიფო ორგანოები მნიშვნელოვან ნილად ფლობენ ერთმეორის მიმართ დამოუკიდებლობას. პარლამენტს არ შეუძლია უნდობლობის ვოტუმი გამოტანა მთავრობისადმი, მაგრამ პრეზიდენტსაც არა აქვს უფლება ვადამდე ადრე დაითხოვოს პარლამენტი.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში ნაყოფიერი ნიადაგი არსებობს იმისათვის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების, პირველ რიგში, პრეზიდენტის ხელში მოხდეს უფლებამოსილების არსებითი კონცენტრაცია, რაც პრეზიდენტის ხელისუფლების მექანიზმის მნიშვნელობას განაპირობებს. კონსტიტუციური კანონიერების დაცვის შემთხვევაში საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მთავრობის მდგომარეობა მეტად სტაბილურია. თავის მხრივ, პარლამენტსაც ამ შემთხვევაში უფრო მეტი რეალური უფლებამოსილება გააჩნია, ვიდრე საპარლამენტო სისტემის რესპუბლიკებში.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის ყველაზე ტიპიურ მაგალითად ყოველთვის ასახელებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც პირველად დამყარდა მმართველობის ეს სახე. უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში ეფუძნება ე.წ. „უთიერთკავშირების“ და „უთიერთგანაწიანსწორების“ პრინციპებს.

ალსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახემ ევროპაში ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, ხოლო აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ე.წ. „სუპერპრეზიდენტურ“ რესპუბლიკებში საკმაოდ ხშირად გვხვდება.

რესპუბლიკური მმართველობის მეორე სახეა პარლამენტური რესპუბლიკა, სადაც მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტურ საფუძველზე. მთავრობა ოფიციალურად, პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი. სახელმწიფო ორგანოების სისტემაში სახელმწიფო მეთაურს შედარებით მოკრძალებული ადგილი უკავია, თუმცა, სამართლებრივი უფლებამოსილება შეიძლება საკმაოდ ფართო იყოს. პარლამენტი, კანონების გამოცემის გარდა, ბიუჯეტის კოტირებასაც ახდენს და მთავრობის საქმიანობის კონტროლის უფლებაც აქვს.

ამ სახის რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური მთავრობის შემადგენლობის საკუთარი შეხედულებით კი არ ნიშნავს, არამედ პარლამენტის (ან მის ქვედა პალატაში) მანდატების უმრავლესობის მქონე პარტიის, ან პარტიების კოალიციის წარმომადგენლებისგან, რომელთაც ამტკიცებს პარლამენტი. პარლამენტის მხრიდან მთავრობის მიმართ უნდობლობის ვოტუმი გამოტანას ან მთავრობის გადადგომა უნდა მოჰყვეს, ან კიდევ (გამწვავების შემთხვევაში), პარლამენტის დათხოვნა და ახალი როგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება.

პარლამენტურ რესპუბლიკაში პრეზიდენტი, როგორც წესი, აირჩევა ან პარლამენტის, ან კიდევ განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც პარლამენტის წევრები შედიან. ზოგიერთ საპარლამენტო რესპუბლიკაში დღეისათვის პრეზიდენტის არჩევის სხვა წესიც არსებობს, მაგ.ავსტრიაში - ამომრჩეველთა მიერ პირდაპირი არჩევნებით. პრეზიდენტის უფლებამოსილება (წმინდა წარმომადგენლობითის გარდა) ხორციელდება მთავრობის თანხმობით. პრეზიდენტის აქტი მოითხოვს შესაბამის კონტრასიგნაციას მთავრობის მეთაურის ან შესაბამისი

მინისტრის მხრიდან, რომლებიც იღებენ პასუხისმგებლობას ამ აქტის კანონიერებაზე (ადრე მოხსენიებული პარლამენტური მონარქიის მსგავსად).

პარლამენტური რესპუბლიკის მაგალითია იტალია (1947 წლის კონსტიტუციის მიხედვით), გერმანია, ავსტრია, ირლანდია, ისლანდია და სხვ.

რესპუბლიკური მმართველობის დროს არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეხამებულია საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკების ნიშნები. ასეთი შერეული „ფორმის“ მაგალითია საფრანგეთის რესპუბლიკა, 1958 წლის კონსტიტუციით. კონსტიტუციის საფუძველზე მნიშვნელოვანდ გაიზარდა პრეზიდენტის ძალაუფლება და, ამასთან, შენარჩუნებულ იქნა პარლამენტარზიმის ძირული ატრიბუტები. პრეზიდენტი ცენტრალურ ფიგურად იქცა სახელმწიფო ორგანიზაციულ სისტემაში. ის პირდაპირი არჩევნების საფუძველზე აირჩევა და დიდი უფლებებით არის აღჭურვილი, რომელთაგან ყველაზე არსებითია პარლამენტის დათხოვნის უფლება. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით (პარლამენტისგან დამოუკიდებლად) ხდება მთავრობის ფორმირება. მართალია, ოფიციალურად, მთავრობას პრეზიდენტი კი არა, პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, მაგრამ პრეზიდენტს მინიჭებული აქვს იმის უფლება, რომ მთავრობის საქმიანობა განსაზღვრული მიმართულებით წარმართოს. უნდა ითქვას რომ, საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპი არის განცხადებული, მაგრამ მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის შესაძლებლობა ფრიად შეზღუდულია. პარლამენტის მხრიდან მთავრობის გამაკრიტიკებელი რეზოლუციის მიღება ძალიან ძნელია. თანამედროვე საფრანგეთის პოლიტიკურმა ცხოვრებამ დაადსტურა, რომ მაინც არსებობს პრეზიდენტისა და პარლამენტის თვალსაზრისით დამთხვევის აუცილებლობა: თუ პრეზიდენტს მხარს უჭერს პარტიათა ერთი კოალიცია, ხოლო საპარლამენტო უმრავლესობა მეორე კოალიციას ეკუთვნის, ასეთ შემთხვევაში საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო-პოლიტიკური ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირება თითქმის შეუძლებელი ხდება. მსგავსი შეხამება დამახასიათებელია აგრეთვე, ფინეთსა და პორტუგალიის რესპუბლიკებისათვის.

მმართველობის თავისებური სახეა შვეიცარიაში : აქ სახელმწიფოს მეთაურის და მთავრობის ფუნქციას ასრულებს კოლეგიალური ორგანო - ფედერალური საბჭო. იგი ირჩევა პარლამენტის შემადგენლობიდან შვიდი წევრის ოდენობით, საკმაოდ ფართო კოალიციურ საფუძველზე. ყოველწლიურად, ფედერალური საბჭოს თითო წევრი ერთი წლით ირჩევა შვეიცარიის პრეზიდენტად და ახორციელებს წარმომადგენლობით ფუნქციას- თავმჯდომარეობს ფედერალური საბჭოს სხდომებს, მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე შვეიცარიაში არ არსებობს.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, საზოგადოების არჩევანი (თუ ასეთი არჩევანის უფლება და საშუალება მას საერთოდ მიეცა) სახელმწიფოში ამკვიდრებს მმართველობის სამი ძირითადი მინარსობრივი სახიდან ერთ-ერთს: ან მონარქიის ინსტიტუტს, ან ძლიერ საპრეზიდენტო ხელისუფლებას, ან კიდევ პარლამენტურ რესპუბლიკას. პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მკაფიოდ განსაზღვრული უფლებებით.

# სამუზეუმო კვირული კონფერენციით დაიხურა

29 მაისს, სოფელ ხორნაბუჯში მდებარე ხალხთა მეგობრობის მუზეუმში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია სამუზეუმო კვირულის ფარგლებში შედგა, მუზეუმის ხელმძღვანელმა ქეთევან მჭედლიძემ გახსნა და მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მუზეუმში სტუმრობისთვის.

წარმოდგენილი იყო საკონფერენციო თემები: გამოჩენილი ქართველი ადამიანები, რომელთა ცხოვრების ბედი დედოფლისწყაროს უკავშირდება. მოხსენება ქეთევან მჭედლიძემ წარმოადგინა. ხოლო ქართულ ხალხურ კერამიკაზე ისაუბრა მუზეუმის თანამშრომელმა მარინა ბაგაშვილმა. ღონისძიების პარალელურად მოეწყო დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტრადიციული ხელსაქმისა და გობელნის წრის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. (ხელსაქმის წრის ხელმძღ-



ვანელები ღია ნატროშვილი და თეა ნატროშვილი.

**ქეთევან მჭედლიძე (მუზეუმის ხელმძღვანელი):** «გასულ წელს აქ მოღვაწე პოეტების შესახებ მოვამზადეთ კონფერენცია, წელს კი გვინდოდა ყველა ცნობილ ადამიანზე გვესაუბრა, ვინც რაიმეთი დაკავშირებულია დედოფლისწყაროსთან. მომავალ წელს გვინდა მეცნიერებზე დავამუშაოთ თემა, ბევრი კარგი მასალა არსებობს. ზოგადად ვაგრძელებთ კვლევას-ძიების პროცესს და საინტერესო დეტალებს ვიკვლევთ ბეჭდურ წყაროებშიც, მოსახლეობაში შემორჩენილ თქმულებებში და ა.შ.»

**ღია ნატროშვილი:** «საინტერესო იყო ნამდვილად, აქამდე არ ვიცოდი, რომ საქართველოში ამდენი სახეობის თიხას მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ. სიახლე იყო ისიც, რომ ამდენი ცნობილი ადამიანი უკავშირდებოდა ჩვენი რაიონის ისტორიას. ყოველთვის ამალღებულნი ვაყნობთ მივდივარ ამ მუზეუმიდან და ახერხებენ ყოველთვის რაღაც ახალი გაგვაგებინონ. ჩვენ კი ჩვენი ნამუშევრები გამოვიტანეთ და წარვადგინეთ.»



24 მაისს სამუზეუმო კვირული დაიხურა ქალაქ დედოფლისწყაროში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირულის ფარგლებში, კონფერენცია გაიმართა. გახსნილი იქნა თემები: «წმინდა ელიას ნამონასტრალის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ერთი ნივთის ისტორია». მოხსენება ლალი ბასილაშვილმა წარმოადგინა. ხოლო კიდევ ერთი თემა – «გააცოცხლე ისტორია ექსპონატით. საკონფერენციო თემა მომზადდა სათაურით: «ქვეყნი - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი». აღნიშნული მოხსენება მუზეუმის თანამშრომელმა ნინო პოპიაშვილმა წარადგინა. კონფერენციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები..

კონფერენციის დასრულებამდე წარმოდგენილი იყო სხვა თემატური პრეზენტაციებიც: დალი ბაღაშვილმა მოამზადა «დედოფლისწყაროს გამოჩენილი ადამიანები - ალექსანდრე ალადაშვილი», რომელიც არბოშიკშია დაბადებული. მომხსენებელმა ისაუბრა ქართული სამედიცინო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სახელგანთქმული ქართველი მეურნალის და მეცნიერის ალექსანდრე ალადაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ, რომლის შრომაც ფასდაუდებელია.



## წარმატებული კონკურსი

დედოფლისწყაროს ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის კონკურსებში მორიგ წარმატებას მიაღწიეს. როგორც «შირაქს» სკოლის ადმინისტრაციიდან აცნობეს,

27 მაისს რუსთავის №4 საჯარო სკოლაში გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებული კონკურსის «ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას» ნახევარფინალური ტურნირი. ჩვენი სკოლის გუნდი ლალიანა უთრუთაშვილის, თებრონია ლომსაძის, მარიამ იაკობიშვილის და გიორგი ალუღიშვილის შემადგენლობით რუსთავის №5 სკოლის მოსწავლეებს შეხვდა. თამაში ჩვენი მოსწავლეების გამარჯვებით დამთავრდა, რითაც მათ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. გაზეთი «შირაქი» კონკურსის მონაწილეებს გაესაუბრა და დაინტე-

რესდა, რის ხარჯზე მოიპოვეს უპირატესობა დედოფლისწყაროელმა მოზარდებმა.

**გიორგი ალუღიშვილი (კონკურსის მონაწილე):** «ჩვენ ამ კონკურსში მონაწილეობას მეორე წელია ვიღებთ. მიუხედავად აბიტურიენტის დატვირთული გრაფიკისა, ვცდილობთ, როგორმე მეტი დრო დავუთმოთ ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, როგორცაა ბიბლიის შესწავლა. ზოგადად, ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის წელი მასწავლებელს, რომელიც ჩვენთან ერთად თავდაუზოგავად შრომობს. უნდა აღინიშნოს, რომ მასთან მუშაობა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩვენ ამ მოკლე დროში შევძელით ისეთ გუნდებთან უპირატესობის მოპოვება, რომელთაც ამ თამაშში მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. ამ თამაშში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, გყავდეს მომღერალთა გუნდი.



ამიტომ, ჩვენი სკოლის მოსწავლეებისგან შემდგარი მომღერალთა ტრიო მუდამ მხარში გვიდგას და გვაძინებებს. სკოლაც ყოველთვის ხელს გვინწყობს და წარმატებაც ასე მოვიდა. ჯერ უცნობია, როდის გაიმართება ფინალი».

მეორე დღეს კი საპატრიარქოს სკოლის მოსწავლეები: ნინო ალუღიშვილი, ნინო ნატროშვილი, მარიამ კვესაძე, ელენე გიგაური, გიორგი კოჭლამაზაშვილი, ნინო ზურიკაშვილი, იოანა ბულაშვილი, ლიზა ყანჩაშვილი და მარიამ თეთვაძე მონაწილეობას იღებენ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში: «ნახატები ბიბლიურ თემებზე». 28 მაისს სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე გაიმართა II ტური – «ხატვის დღე», კონკურსანტებს ნაუკითხეს ამონარიდი ძველი და ახალი აღთქმიდან, რომლის მიხედვითაც შესარულეს ნახატები.



მაისის თვეში სიღნაღის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა რესპუბლიკურ ტურნირს კიკბოქსინგში «სიღნაღის თასი». ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი «ჩემპიონის» სპორტსმენები.

ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ჯამასპიშვილი, ივანე შიტუხინი, რამაზ უსუფაშვილი, ლუკა ტუმანიანი (მწვრთნელი თამაზ ყარაბაგვაშვილი).



## კ რ ი შ ი

თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა კიკბოქსინგის და ტაილანდური კრივის ეროვნული ფედერაციის მიერ vika-ს ორგანიზებით (პრეზიდენტი ლამაჭურაძე). შეჯიბრში მონაწილეობდა ზემო მაჩხაანის კლუბი «ზაქები». 2009-2010 წელს დაბადებულია შორის ასპარეზობაში მონაწილეობდა კლუბის ორი სპორტსმენი, რომლებიც საქართველოს მესამე პრიზიორები გახდნენ-გოჩა ჩუთლაშვილი (62 კგ) და ნიკოლოზ ჯაბაშვილი (70 კგ). სპორტული კლუბის «ზაქები» დამფუძნებელი და მწვრთნელი გენადი ნატროშვილი.



## სარედაქციო ფოსტა

### გამოსავალი არსებობს

ძნელია დღევანდელ ეპოქაში მასწავლებლობა... ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი... განსაკუთრებით ბევრი თავსატეხია XII კლასში. სახელმძღვანელო მინცდამაინც არაა მისადაგებული. თვრამეტწლიანთა ფსიქოლოგია რადიკალურად განსხვავებულია, დაჯერება შედარებით დაბალია და დიდი ძალისხმევაა საჭირო, მაგრამ მასწავლებლობა მინც სახლისა, რადგან დიდ ძიებას და ემოციებთანა დაკავშირებული მათი მოთხოვნებია.

უემოციოდ ყველაფერი ცივი, მკვდარი და უფერულია. ემოცია ალბათ ის კატალიზატორია, რაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ისეთ ხიდს დებს, რომელზე გავლაც ორივე მხარისთვის სასარგებლოა.

აი, დღეს XII-ე კლასში მეორე გაკვეთილი მაქვს. მეჩვენება, რომ თითქოს დაძაბული ვარ, რაღაც მაკლია... ვფიქრობ, გადავხედავ რეგულაციებს და მზადაა, შემჯავებელი წერა უნდა ჩავატარო. მასალაზე საკმარისად ვიმუშავებ. თემატკა ნაცნობია, გამოცდილება საკმაოდ მაქვს... მაშ რაშია საქმე?! საიდან მოდის ეს ლეღა?!... ვფიქრობ, ეს ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი სიყვარულია და ზრუნვითაა გამოწვეული. მინდა არც შრომა დამეკარგოს და არც აღსაზრდელი დაზარალებდეს. მინდა რწმენით იცხოვრო, არც საკუთარ შესაძლებლობებზე დაკარგონ იმედი და არც თავიანთ მასწავლებლებზე...

სხედან ეს შედერებული გოგო-ბიჭები და მუშაობენ. გარეთ თბილი, გაზაფხულისთვის დამახასიათებელი ტაროსი დგას. მზე შედარებით სუსტად, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ ანათებს. კლასის ღია ფანჯრებიდან აზრები უხილავად მოფარფატებენ და მოსწავლეთა გონებასა და გრძობაში აღწევენ.

ბავშვები წერენ... წერს მასწავლებელიც... თუმცა, მისი გული და ფიქრი უფრო მოსწავლეებისკენაა მიმართული... იგი თავს ბედნიერად თვლის, რადგან აქვს რწმენა, რომ... ის ვიღაცას სჭირდება და ეს ვიღაც ჩვენი ქვეყნის მომავალია...

ჩემი განცდა ზენიტშია, ბედნიერი ვარ!.. გმადლობთ ქალ-ვაჟებო... გმადლობთ, რომ არსებობთ და ხართ ისეთები, როგორებიც ხართ. დიას, გამოსავალი არსებობს, მაგრამ მას გონივრული ძიება სჭირდება... არის, ნაპოვნია იგი!..

### გულნარა ტვილდიანი, ქვემო ქედი

გოჩა და მიმოზა გოგილაშვილები ოჯახებით, თემურ და თამილა ნადირაშვილები ოჯახებით, მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ გია ნატროშვილს (ზოსიმის) ბიძაშვილის, **ქანო ნატროშვილის** გარდაცვალების გამო.

# პატარა მხატვარი დიდი მიზნებით

**1 ივნისი პავსთა დაცვის დღეა.** ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი ნიჭიერი ბავშვია, რომელთაგან „შირაქი“ ერთ-ერთის შემოქმედებას გაგაცნობთ. დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრები 12 წლის ნიკიტა არზამასოვი საოცარ ნახატებს ქმნის. მისი პერსონალური გამოფენა და ნამუშევრების დებიუტი ორი წლის წინ ხალხთა მეგობრობის მუზეუმში შედგა და დამთვალეირებულბში მოწონებას დაიმსახურა. მის ნახატებში საოცარი ფერთა შეხამება და საინტერესო ტექნიკა ჩანს.



დეტ შეიძლება გაგრძელდეს და ძილი გადაუცდეს. ამის გამო არ ვბრაზობ, პირიქით, ვცდილობ მხარში დავეხმარე. იქვე ვზივარ და ვუყურებ, ვეხმარები ფუნჯების გარეცხვაში და სხვა ა.შ. მიხარია ხოლმე რომ უდროოდ დროს ხატავს და ასეა შექიდებული თავის საყვარელ საქმეს. სასიამოვნოა როცა ძილის დროს შემოქმედებას უთმობს. ზოგჯერ ისეთ ანიმაციურ გმირებსა და პერსონაჟებსაც ხატავს, რომლებიც მე არ მომწონს, მაგრამ თინეიჯერების თაობისთვის ისინი განუყოფელია.




**ნიკიტა არზამასოვი:** „ბავშვობიდან სულ ვხატავდი და მერე მივხვდი, რომ ძალიან მომწონდა, მინდოდა უფრო კარგად მესწავლა. მომხიბლა იმან, რომ ხატვის დროს შეგიძლია რაც გინდა და როგორც გინდა ისე დახატო და შენი ხედეა გადაიტანო. ყოველთვის ვერ ვხატავ, ამისათვის განწყობა და ხასიათი მჭირდება. თუმცა, ხატვის დროს ვისვენებ. იდეა რომ მიჩნდება მაშინ ვვადები დასახატად და თუნდაც დადლილი ვიყო, ამ პროცესში ვისვენებ. ჩემი საყვარელი ფერებია: წითელი, ლურჯი და მწვანე. ეს სამი ფერი იმიტომ მომწონს, რომ ამ ფერებით ყველაფერი შეიძლება დახატო და კარგად გამოვიყვიდე. პეიზაჟების ხატვა უფრო მომწონს, აქ უფრო ბევრი დეტალია და შექმნის პროცესი საინტერესოა. ასევე მიყვარს ძალღეობის დახატვა. ჩემი საყვარელი მხატვარია ფიროსმანი. ძალიან ლამაზი და გამორჩეული სტილი აქვს და მინდა მეც ვისწავლო. თან ნიკალა დედოფლისწყაროდანაა და მიხარია. სხვა მხატვრების ნამუშევრები არ მინახავს და არ ვიცი. ხატვა ჩემთვის მხოლოდ ჰობი არ არის და ბოლომდე ვაყვებ. შეიძლება პროფესია სხვა მქონდეს, მაგრამ თავისუფალ დროს ყოველთვის ვადახატავ. პროფესიებიდან მხოლოდ მსახიობობა მომწონს, სხვაზე არაფერზე ვფიქრობ. საინტერესოა გარდასახვის პროცესი და ბევრ ადამიანთან შეხება, პოპულარობა, უფრო კინომსახიობობა მომწონს და არ მგონია სკოლის დამთავრებამდე აზრი

შევიცვალა. ფანქრით მხოლოდ შავითორ პორტრეტებს ვხატავ, ფლომასტერს ძალიან იშვიათად ვიყენებ, ძირითადად ფუნჯით, გუაშისა და ზეთის საღებავებით პეიზაჟების ხატვა მიწევს. პროფესიულად არავინ დამხმარებია და არავის უსწავლებია როგორ ვხატო. ძირითადად შინაგანი ხმა მკარნახობს და წარმოსახვაში ვხედავ, როგორ და რა შინაარსით შევქმნა ნახატი. თუმცა, სკოლაში ხელოვნების მასწავლებელმა რუსუდან კიკილაშვილმა მასწავლა ჩრდილების შექმნა და ფერების დახვეწა. მანვე მიბიძგა და ხორნაბუჯის სკოლის დახმარებით 10 წლის ასაკში სოფელში ჩემი პერსონალური გამოფენა ჩამეტარებინა. სამომავლოდ მინდა გამოფენები მქონდეს თბილისში და დედოფლისწყაროში და მეტმა ადამიანმა გამიცნოს. უფრო ბევრს ეცოდინება, რომ არსებობს ბიჭი, რომელსაც ხატვა უყვარს“.



ნიკიტას პროფესიული განათლება ხატვის მიმართულებით არსად მოუღია, არც ხატვის სკოლაში უღლია, არც ხატვის მასწავლებელთან. ყველაფერი დამოუკიდებლად და საკუთარ თავთან მუშაობის შედეგად განავითარა. სკოლამ ხელი ძალიან შეუწყო და



**ინა არზამასოვა (ნიკიტას დედა):** „ბავშვობიდან სულ ფანქარი, ან ფლომასტერი ეჭირა და ხშირად აფერადებდა, რაღაც ფიგურებს ხატავდა. 5 წლის ასაკიდან უფრო ხშირად იყო ამ საქმით დაკავებული. ჩვეულებრივი გართობა და თამაში გვეგონა, მაგრამ ნელ-ნელა სერიოზულ სახეს იღებდა. 4 წლის უკან, 8 წლის ასაკში შევნიშნე, რომ ძალიან კარგად გამოუვიდა და ჰარი პოეტური დახატა, რომელიც მომეწონა. ამის შემდეგ სერიოზულად შევხედე მის ამ გატაცებას. მამჩემიც ხატავდა პორტრეტებს, პეიზაჟებს და ალბათ გენეტიკურია მისი ეს ინტერესი და შესაძლებლობები. რომ ვაკვირდები, ბოლო დროს უფრო პეიზაჟებს ხატავს, ვიდრე პორტრეტებს, ან ფლორასა თუ ფაუნას. თვითონ ირჩევს თემატიკას, ფერებს, ნახატის შინაარსს და ყველა დეტალს. ყოველდღე არ ხატავს, მაგრამ მაინც ხშირად ამ საქმით დაკავებული. კვირაში ერთ ნამუშევარს მაინც ქმნის. თვეში საშუალოდ 3-4 ნახატი ემატება. უცებ იდეა მოუვა, ჯდება და ხატვას იწყებს. ზოგჯერ გვიან ღამე-

ორი წლის წინ გამოფენაც ჩაატარეს, 20-მდე ნახატი ჰქონდა ჩვენი სოფლის მუზეუმში გამოფენილი. სკოლა საორგანიზაციო საკითხებში ეხმარებოდა. მაღლივი ვარ სკოლის, რომ ასე დაინტერესდნენ მისი ნამუშევრებით და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა მოხდა.



ყველანაირად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ. გუაში, ზეთის საღებავები, აკვარელი, ფერადი ფანქრები ვუყიდე და ყველაფერი მოვუმარაგე. ამ ყველაფრის შექმნა იაფი არ ჯდება, მაგრამ როცა ინტერესი დიდია, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. მინდა განვითარდეს, მაქსიმალურად გამოამყვანოს თავისი შესაძლებლობები და ოჯახის მხარდაჭერა ჰქონდეს. სკოლაში მისვლამდე ეპარქიის პრე-სკოლაში დადიოდა და მეუფე დიმიტრი იქ გაიცნო, ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა. კორონავირუსით გარდაცვალების შემდეგ მეუფის პორტრეტიც დახატა და ამით პატივი მიავი მის სსოვნას და საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა. გვინდა ის ეპარქიას შევნიროთ.

გამოფენის მოწყობის შესახებ ჯერ რაიმე მეთავეზება არ ჰქონია. ისე კი, საიმოვნებით იღებს იდეებს. შეკვეთა, ან ნახატის გაყიდვის შემთხვევა არ ჰქონია, ძირითადად ჩუქნის ხოლმე მასწავლებლებს. ხეზე დახატული ფიროსმანიც სკოლას აჩუქა და ადმინისტრაციის კედელზე ჰქიდა.

რუსულენოვანი ოჯახი ვართ და როცა ხორნაბუჯის სკოლაში შევიყვანე, თავიდან ენობრივი ბარიერის გამო გაუჭირდა პროგრამის დაძლევა, მაგრამ ახლა ათთვისა და ძირითადად მაღალი ნიშნები აქვს. ქართულენოვან სექტორზე სწავლობს და თავიდან ჰქონდა სირთულეები, რუსულ სექტორზე შეყვანა არ მიწოდდა, რადგან მივაჩინა, რომ საქართველოში ვცხოვრობთ და ქართული ენა კარგად უნდა იცოდეს. უყვარს მათემატიკა, ქართული, ინგლისური, სპორტი...

თბილი, კეთილი, ყურადღებიანი ბიჭია. გამორჩეულად უყვარს ცხოველები. დღევანდელ ცხოვრებაში განსხვავებული ბავშვია. სახლში დამჯერია, ყველაფერი მეხმარება. ძალიან უყვარს ქართული სამზარეულო და ტრადიციული კერძები.

ძალიან ხშირად ამბობს, რომ მსახიობის პროფესია იზიდავს. უნდა კინო მსახიობი გახდეს, ფილმებში გადაიღოს, როლები განასახიროს. უკვე აქვს ხედვები და გეგმები, რას ითამაშებდა. მაგრამ ჯერ პროფესიული არჩევანისთვის ძალიან პატარა ასაკი აქვს და სკოლის დამთავრებამდე დიდი დროა, ვნახოთ რა ინტერესი გაუჩნდება მანამდე და საბოლოოდ რას გადაწყვეტს. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდები პროფესიას მშობლების არჩევანის მიხედვით არ უნდა ეუფლებოდნენ და თვითონ უნდა გადაწყვიტოს რა სფეროში უნდა მუშაობა. მე ხელს არ შეეუშლი სურვილებში და ყველანაირად გვერდით დავედგები“.

ილია მარტყოფლიშვილი



**ულოცავენ!**  
**ბიორბი ნაბროშვილს!**

ბატონო გიორგი, გულწრფელად გილოცავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიას და ოქროს მედლით დაჯილდოებას.

საუკეთესო სურვილებით და უღრმესი პატივისცემით,  
ქათიანან მჭედლიშვილი და მარიკა პოპიაშვილი.

**განხილვა**

2024 წლის 17 ივნისს, ორშაბათს 18 საათზე, ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 ძმის მესამე შესახვევი №5-ში შედგება შპს „მემონტაჟეს“-ს (ს.კ. 228544255) პარტნიორთა კრება.

დღის წესრიგი:

- შპს „მემონტაჟე“-ს სარეგისტრაციო მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;
- იურდიული მისამართის განსაზღვრა;
- პარტნიორების გასვლა საზოგადოებიდან;
- საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნა.

შპს „მემონტაჟე“-ს დირექტორი:  
☎ ტელ: 595 215 277

ამინდი		დედოფლისწყარო		პარასკევი		შაბათი		კვირა	
ორშაბათი 03.06 ღარი	სამშაბათი 04.06 ღარი	ოთხშაბათი 05.06 ღარი	ხუთშაბათი 06.06 ღარი	პარასკევი 07.06 ღარი	შაბათი 08.06 ღარი	კვირა 09.06 ღარი	ღარი	ღარი	ღარი
19°	17°	29°	20°	31°	23°	32°	23°	33°	24°
ღარი	ღარი	ღარი	ღარი	ღარი	ღარი	ღარი	ღარი	ღარი	ღარი
31°	23°	32°	23°	33°	24°	31°	23°	32°	21°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**  
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.  
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი); 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 014-468.  
**გაზეთის გამომწერა წელიწადში - 20 ლარი**